„ანიმეს ხუთშაბათი“

პროექტის კოორდინატორი:
მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური.

პროექტის მიზანი:

პროექტი მიზნად ისახავს ქალაქ ქუთაისში არსებული იაპონური კულტურისადმი ცნობიერების დონის ამაღლებას, უფრო კონკრეტულად კი ანიმეს ფილოსოფიის არაერთი ასპექტის ამოხსნასა და გაზიარებას, როგორც სტუდენტთათვის, ასევე კურსდამთავრებულთა და სკოლის ასაკის ახალგაზრდებში. პროექტი, ასევე, ორიენტირებულია სამიზნე აუდიტორიისათვის მსოფლმხედველობის, რეფლექსიის, არგუმენტირებული მსჯელობისა და გამოხატვის უნარების განვითარებაზე ანიმეს ჩვენების შემდგომ გამართული განხილვა/დისკუსიის პროცესში ჩართულობით.

პროექტის აღწერა:

იაპონური ანიმაციისადმი ინტერესის ზრდის ტენდენცია მსოფლიოს მასშტაბით თვალსაჩინოა, რაც განაპირობა ანიმეს კინემატოგრაფიის ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბებამ, რომელსაც ჟანრებად დაყოფილი და არაერთ კულტურასთან სინკრეტიზმის სახე მიეცა. ანიმეს კულტურის განვითარებას ქუთაისში ხელს უწყობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაც გამოიხატება შემდეგში: 2016 წლის 31 მარტს შედგა პირველი საჯარო ანიმეს ჩვენება და განხილვა/დისკუსია აწსუ მწვანე დარბაზში, მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის მხარდაჭერით. აღნიშნულმა ღონისძიებამ პერმანენტული სახე მიიღო და ყოველი კვირის ხუთშაბათ დღეს, 17 საათზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კეთილი ნებით, დღემდე გრძელდება იაპონური ანიმაციის ჩვენება და შემდგომ მასში ჩადებული მესიჯების გაზიარება. აღნიშნული განაპირობა სოციუმის ინტერესმა, სურვილმა და უწყვეტმა ჩართულობამ, როგორც ანიმეების შერჩევის, ისე განხილვა/დისკუსიის პროცესის წარმათვაში მონაწილეობამ. პროექტით მოსარგებლე პირების რიგს დროდადრო შეემატა უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც განათლებას იღებენ ღონისძიების მასპინძელ უნივერსიტეტში.

ანიმეს შერჩევის პრინციპი მეტად მოქნილი და არაერთპიროვნულია, რაც ხმის მიცემის საფუძველზე, უმრავლესობის ნებით გამოირკვევა, პროექტისათვის შექმნილი facebook ჯგუფის (სახელწოდებით- AnimeTSU-ანიმეს მოყვარულთა კლუბი) დახმარებით.

პროექტი ორი სასწავლო წლის განმავლობაში განახლების ეტაპს გადიოდა, რაც განაპირობა უნივერსიტეტში სტუდენტთა ახალი ნაკადის დამატებამ, რაც 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისშიც განმეორდება, აღნიშნული ტრადიციულ სახეს ატარებს და ნაჩვენები იქნება განსაკუთრებული ხელწერის, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმისა და უსაზღვრო ფანტაზიის მქონე რეჟისორის, ჰაიაო მიაძაკის შექმნილი, უმაღლესი აკადემიური ჯილდოს მქონე ანიმე - „გატაცებული მოჩვენებების მიერ“, რომელიც ანიმეს სახედაც კი იქცა 2002 წლიდან.

დამატებითი ინფორმაციისთვის:

https://www.facebook.com/groups/1900134733546378/

ტელ: 591 11 56 53